მოსამზადებელი კოლეჯი: ხიდი სკოლასა და უნივერსიტეტს შორის

მითელჰესსენის მოსამზადებელი კოლეჯი არის მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავს, მოამზადოს სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან აკადემიური სწავლებისთვის მითელჰესსენის სამი უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში: მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტი (Philipps-Universität Marburg),გისენის იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტი (Justus-Liebig-Universität Gießen), მითელჰესსენის ტექნიკური უნივერსიტეტი (Technische Hochschule Mittelhessen). ეს სამი უნივერსიტეტი გთავაზობთ თითქმის ყველა სასწავლო პროგრამას, რომელიც შეგიძლიათ ისწავლოთ გერმანიაში. კოლეჯის წარმატებით დასრულების შემდეგ, შეგიძლიათ ასევე განაცხადი გააკეთოთ სხვა გერმანულ უნივერსიტეტებშიც.

კოლეჯის დაწყება შეგიძლიათ ისევე როგორც ზამთრის სემესტრში (სემესტრი იწყება სექტემბერში), ასევე ზაფხულის სემესტრში (სემესტრი იწყება მარტში).

როგორც PASCH-სკოლის კურსდამთავრებული, თქვენ სტუდიენკოლეგ მიტელჰესენში ინტენსიურ მხარდაჭერას მიიღებთ:

- დახმარება დასარჩენის პოვნაში;
- სემესტრის დასაწყისში ორიენტაციის პროგრამა: დაგეხმარებიან ყველა ფორმალობის მოგვარებაში (ქირის ხელშეკრულება, საბანკო ანგარიში, ჯანმრთელობის დაზღვევა...)
- დახმარებას გაგიწევენ სტუდენტი ტუტორები (ექიმთან ვიზიტები/ გაკვეთილში არსებული სირთულეები.)

მოსამზადებელი კოლეჯის კურსები

კოლეჯის სპეციალური კურსები გამზადებთ შეფასებითი გამოცდისთვის , რომელსაც ეწოდება „Feststellungsprüfung“(FSP). კოლეჯი გთავაზობთ სპეციალურ კურსებს ოთხი მიმართულებით:

- G კურსი- ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის
- M კურსი- მედიცინა და ბიოლოგიისთვის
- W კურსი- ეკონომიკისთვის
- T კურსი- საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის

ეს ნიშნავს, რომ უცხოელ აპლიკანტებს შეუძლიათ მოემზადონ ყველა საგნისთვის.

სასწავლო საგნები მითელჰესსენის უნივერსიტეტში და მოსამზადებელი კოლეჯის სპეციალობის კურსებზე შეგიძლიათ იხილოთ: www.uni-marburg.de/de/studienkolleg/fachkurse/pasch საკვანძო სიტყვა „Bewerbung“(აპლიკაცია) ქვეშ .

სპეციალისტთა ჯგუფებში ისწავლება შემდეგი საგნები:

- G კურსი: გერმანული, ლიტერატურა, ისტორია,სოციუოლოგია, სტატისტიკა
- M კურსი: გერმანული, ბიოლოგია, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა
- W კურსი: გერმანული, მათემატიკა, ბიზნესის ადმინისტრირება,ეკონომიკა, სოციოლოგია
- Tკურსი:გერმანული,მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია,ინფორმატიკა

მისაღები ტესტი

კოლეჯის სპეციალობის კურსებზე მისაღებად საჭიროა მისაღები ტესტის დაწერა. PASCH-ის სკოლების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მისაღები ტესტი სკოლის ბოლო წელს, თავიანთ სამშობლოში დაწერონ. გამოცდის თარიღის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ შესაბამისი ZfA სპეციალისტი მრჩევლების (DSD სკოლები) ან გოეთეს ინსტიტუტების (FIT სკოლები) მეშვეობით.

- ყველა მონაწილე წერს გერმანულის ტესტს. კურსდამთავრებულები, რომლებსაც სურთ T-, W- და M- კურსზე ჩაბარება და აქვთ DSD2, თავისუფლდებიან გერმანული ენის ტესტისგან. G- კურსისთვის გერმანული ენის ტესტი არის სავალდებულო.
- ყველა მონაწილემ, რომელთაც სურთ T-, W- და M- კურსზე ჩაბარება, უნდა დაწეროს მათემატიკის ტესტი.

ტესტის მაგალითებს იპოვით ამ ლინკზე: https://www.uni-marburg.de/de/studienkolleg/fachkurse/pasch საკვანძო სიტყვა "Bewerbung" (განაცხადი) ქვეშ. ვისაც სკოლა 6 თვეზე მეტია დასრულებული აქვს და სკოლის მეშვეობით აღარ შეუძლია მისაღები გამოცდის დაწერა, უნდა მიმართონ უნი-ასისტს: https://www.uni-assist.de/ .განაცხადის ვადები: 15.10 ზამთრის სემესტრი, 15.04 ზაფხულის სემესტრი.

კოლეჯის გერმანულის კურსები

აპლიკანტებს, რომელთა გერმანული ენის დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სპეციალობის კურსებში მონაწილეობის მისაღებად,შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კოლეჯის გერმანული ენის კურსებში. გერმანული კურსების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ:https://www.uni-marburg.de/de/studienkolleg/sprachkurse

განაცხადი სპეციალიზებულ კურსებზე

1. მისაღები ტესტი:

ზამთრის სემესტრისთვის: მარტში თქვენს სამშობლოში ან ივნისში ონლაინ uni-assist-ის საშუალებით განაცხადის შეტანისას. ზაფხულის სემესტრისთვის: ოქტომბერში თქვენს სამშობლოში ან იანვარში ონლაინ uni-assist-ის საშუალებით განაცხადის შეტანისას

2. კოლეჯში ჩარიცხვა და სასწავლო ადგილის მიღება:

აპლიკანტები, რომლებიც მიიღეს მოსამზადებელ კოლეჯში შეიძლება მიღებულ იქნეს, მიიღებენ ჩარიცხვას ელექტრონული ფოსტით და უნდა დაეთანხმოთ სასწავლო ადგილს და დროულად დარეგისტრირდნენ PASCH-Cloud-ზე.

3. დოკუმენტების გაგზავნა.

აპლიკანტმა, რომელმაც მიიღო სასწავლო ადგილი, უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის ატესტატი, ატესტატის თარგმანი. თუ შესაძლებელია:DSD 2 სერთიფიკატი. საჭიროა დამატებითი დოკუმენტები ცალკეული ქვეყნებისთვის, როგორიცაა კოლუმბია, ჩინეთი, ვიეტნამი, მონღოლეთი და ინდოეთი.ამისთვის არის შემდეგი ვადები:

ზამთრის სემესტრი: საბუთები მიიღება 31.07

ზაფხულის სემესტი: საბუთები მიიღება 31.01

ეს დოკუმენტები კოლეჯის PASCH-Cloud-ზე უნდა აიტვირთოს. PASCH-Cloud-ზე რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაციას კანდიდატები მიიღებენ სწავლის ადგილის მიღების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციები

დამატებით ინფორმაციას მიიღებთ კოლეჯის ვებგვერდზე და სამი მითელჰესსენის უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტი: www.uni-marburg.de

იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტი: www.uni-giessen.de

მითელჰესსენის ტექნიკური სასწავლებელი: www.thm.de

საკონტაქტო

საზღვარგარეთ გერმანიის და პარტნიორი სკოლების კოორდინატორი: ანკე ჰაიბროკი heibrock@uni-marburg.de

სტუდენტების კითხვებისთვის:

ელფოსტა: pasch@uni-marburg.de

კვირაში ერთხელ: ციფრული კონსულტაციის საათები PASCH სტუდენტებისთვის გამოცდილ დამრიგებელთან. მიმდინარე დროები და წვდომის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ PASCH სკოლებისთვის მოსამზადებელი კოლეჯის მთავარ გვერდზე "კონტაქტი" ქვეშ: www.uni-marburg.de/de/studienkolleg/fachkurse/pasch

Philipps Universität Marburg

მითელჰესსენის მოსამზადებელი კოლეჯი

ინფორმაცია PASCH-ის სკოლების აბიტურიენტებისთვის.